# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 178. კვირა, 21 დეკემბერი 1903 წ. გაზეთის № 2359.



**მიიღება ხელის მოწ-რა 1904 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ**

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით**

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარეთ |
|---|---|
| 1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., | 1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., |
| 1 თვით—50 კაპ. | 1 თვით—90 კაპ. |

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მ ო ა მ ბ ე“**

(წელიწადი მეთერთმეტე)

**ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა**

| კავკასიასა და რუსეთში | საზღვარ-გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ., | 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., |
| 3 თვით—3 მან. | 3 თვით—5 მან. |

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება**: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

# ალ. ყაზბეგისა.

**1904** წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან.** სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

**ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით**

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

**ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ**, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372 ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.


# შემოდგომის ღამე

(ეტიუდი*)

(დასა რული*)

წვიმამ უმატა და ჩვენც ნაბიჯს მოვუჩქარეთ. ჩემი სტუმრები გაჩუმდნენ და მხოლოდ ხანგამოშვებით ჩურჩულით არღვევენ სიჩუმეს. ვიღაც ქალი გვეწევა, გზას მისწრობს, წინ მიმიძღვის და უცებ ნაბიჯს უკლებს. მეც უკან შივდევ და იმისი გასწრობა მინდა, ქალი ხშირ-ხშირად უკან იხედება, მშინჯავს, მათვალიერებს, შემდეგ უცებ გვერდში მიდგება, მკლავში მკლავს მიყრის, მაჩერებს და სხაპა-სხუპით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად იწყობს:

— Простите, пожалуйста, простите. но.... выслушайте меня... ради Бога, выслушайте...

პასუხად რაღაცას ვლუღლუღებ და ყურს ვუგდებ. ხელი ხელ გაყრილნი მივდივართ. ქალს სცივა, კანკალებს, მეკვრის და ლაპარაკობს... განუწყვეტლივ, შეუჩერებლად ლაპარაკობს. ფული არა აქვს. არც საჭმელი და ბინა აქვს... რაც ნივთები ჰქონდა, სახლის პატრონმა ვალში დაიტოვა და ის კი გარედ გამოაგდო. ეხლა არ იცის, ვის მიმართოს და როგორ მოიქცეს. ნაცნობებმა პირი მოარიდეს. ნათესავები... თუმცა ჰყავს, მაგრამ... მთელი ღამე დარბის და ვერაფერი იშოვა... ეხლა მთხოვს, ერთი ან ორი დღით შემინახეო, სამაგიეროდ მემსახურება. ერთი დღის შენახვისთვის ერთ თვეს, ორ თვეს მემსახურება; ეხლა კი ძალიან ჰშიან... ცუდი დარია და ღამეს გარედ ვერ გაატარებს, ბინა უნდა. მჯერა. მარო ჰქვიან. იმისი მამა მოსკოვში გენერალ-მაიორი იყო. იმათ სახლში ხშირად ერთი აფიცერი დაიარებოდა და მაროს უფროს დის შერთვას აპირებდა, თუმცა უკანასკნელ დროს მაროს და იმ აფიცერს ერთმანეთი შეუყვარდათ. იმ დილას, რა დღესაც ქორწილი უნდა ყოფილიყო, მარო იმ აფიცერთან მივიდა და... ერთი კვირის შემდეგ ორივენი ტფილისში ჩამოვიდნენ. ერთად ორი თვე იცხოვრეს, შემდეგ აფიცერი თვის მშობლებმა ძალით წაიყვანეს. თუმცა ჯერ იმალებოდა, ტიროდა და თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ მარომ დროზე მიასწრო, სიკვდილისგან დაიხსნა და წასვლა ურჩია, თვითონ კი უცხო ქალაქში მარტოდ-მარტო დარჩა. შემდეგ იმას დედა და ძმა (ისიც აფიცერია), ჩამოუვიდნენ, ყველაფერი აპატიეს და შინ დაბრუნება სთხოვეს, მაგრამ მარო არ წავიდა, რადგანაც, ჯერ ერთი, შერცხვენილი მოსკოვში ვერ დაბრუნდებოდა და, მეორე, დღითი-დღე შვილის დაბადებას ელოდა. ტფილისში დარჩა და ცხოვრებას პატიოსანის შრომით აპირებდა, მაგრამ ჩარხი უკუღმა დატრიალდა. მაროს ამ ერთი კვირის წინადაც მოუვიდა დედისგან წერილი, სთხოვდა, ეხვეწებოდა: შინ დაბრუნდი, ყველაფერი დავივიწყეთო.

ჩემის ახალი სტუმრის ბიოგრაფიას ცოტა იჭვით და უნდობლად ვისმენ, მაგრამ ხმას არ ვიღებ და მისთვის დასაწოლ ადგილის შოვნაზე ვფიქრობ.

ყველანი გავჩუმდით. „მასწავლებელი“ და „სტუდენტი“ ფეხდაფეხ მოგვდევენ. მარო ცახცახებს, მთელი ტანით მეკვრის და ჩემში რაღაც გრძნობის გაღვიძება უნდა, მაგრამ არაფერსა ვგრძნობ და „გენერალ-მაიორის ქალი“ მხოლოდ მებრალება და ისევ იმის საწოლსა და ჩემის სტუმრების ვახშამზე ვფიქრობ.

— Подцѣпила таки.—ხმა მაღლა ნანობს „მასწავლებელი“ და იმის ოხვრას „სტუდენტის“ კისკისი უერთდება“.

მალე ჩემი სახლის ეზოშიაც შევდივართ. თითქმის იმავ დროს სოფიოს ოთახში სანთელი ჰქრება. კარები იკეტება და მხოლოდ წვიმის ბუტბუტი, ქარის ზუზუნი და „მასწავლებლის“ ოხვრაღა ისმის. სოფიოს ოთახში უცნობი მაინც შევნიშნე... მაგიდასთან იჯდა.

---

იხ *) დამატება № 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რას ერჩის?—სურათი როჟანსკისა.

ერთხელ ვათვალიერებ და ჩემი ეჭვი მის ღამის საცვლის მეგობრობაზე უფრო ძლიერდება. „სტუდენტმა“ ტიტველა ფეხები „მასწავლებლის„ წამოსასხამით გაიწმინდა, შემდეგ წამოსასხამი კიბეზე გადააგდო, შინ შემოვიდა, ბნელ კუთხეში აიტუზა და ორივე ხელზე იბერავს და ტოკავს. სიბნელეში იმის არა ჩვეულებრივ მოდის ტანისამოსსა და თავ-პირზე მასწავლებლის წელანდელ ხუმრობის შედეგი უსიტყვოდ, მაგრამ ნათლად და გარკვევით ლაპარაკობს. მარო უკვე სკამზე ჩამომჯდარა, თვალები მიულულია და იმის გაფითრებულ და სიამოვნებისგან მთრთოლვარე ტუჩებზე მაგიდაზე მდგომი სანთლის შუქი თამაშობს. გამხდარი და გაყინული ხელები მუხლებზე დაუწყვია, გაცვეთილ და იაფ-ფასიან შლიაპის ქვეშიდან ჩამოშლილ თხელ თმებზე წვიმის წვეთები ბრწყინავენ და ინძრევიან; წყალს ლოყებიდან და შუბლიდან ფერუმარილი ჩამოურეცხავს და გამხდარი, დაღლილ-დასუსტებული პირსახე თეთრ და წითელ ზოლებად დაუხაზავს. იმის მოგრძო და გამხმარ ნიკაპზე რამდენიმე წითლად შეღებილი წვეთი ჰკიდია.

ხანგრძლივ სიჩუმეს ჩემ ოთახში ჩუმად შემოსული ბრინკას მკვახე და სასტიკი კითხვა არღვევს.

—ამათ რაღა უნდებოდის?—და კარებში მდგომი დაღვრემილი ოსი ყველას მკაცრად გვათვალიერებს.

სტუმრები შეშფოთდნენ, მე მიყურებენ და უსიტყვოდ მფარველობას მთხოვენ. მარო შეკრთა, წამოიწია, მაგრამ მაშინვე ისევ ულონოდ სკამზე დაეშვა და დამნაშავურის ღიმილით შემომცქერის.

— Ндаа-а-а!—ამტკიცებს „მასწავლებელი“, ფეხსაცმელებს ერთ იღლიიდან მეორე იღლიაში ჰგზავნის და განგებ რამდენჯერმე ახველებს.

ზარი დავრეკე და ჩემ მსახურს, ოს ბრინკას, ვუცდით. სტუმრები უკან დგანან და კარების გაღებას ელიან. ცოტა ხნის შემდეგ კარებში ბრინკას ბებერი, თეთრი და მოკლე წვერით შემოსილი გაჯავრებული სახეც გამოჩნდა და თავის არაჩვეულებრივის ქართულით როგორც ხელქვეითს ანგარიშსა მთხოვს:

— რათ დაიგვიანებდებოდე?

ბრინკა თუმცა ოცდა ათ წელიწადს ცხოვრობს ქართველებში, მაგრამ ქართულ ზმნებს მაინც „ებდის“ და „ებდებოდე“-თი ათავებს.

„სტუდენტმა“ რომ ბრინკას „ებდებოდე“ გაიგო, მხიარულად გაიკისკისა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდა და „მასწავლებელს“ აეფარა. ბრინკამ ჩემი სტუმრები აათვალ-ჩაათვალიერა, ყველას თვალები დაუბრიალა და ისევ მე გამიწყრა:

— ამათ რაღა უნდებოდეს? რათ მოიყვანებდებოდე?

ცოტა ლაპარაკის შემდეგ ბრინკა ბუტბუტით წინ მიგვიძღვის, ჩემი ოთახის კარებს გვიღებს, სანთელს მე მაძლევს და გაჯავრებულ თავის სამზარეულოში გადის.

მე და მარო ჩემ ოთახში შევდივართ, „მასწავლებელი“ და „სტუდენტი“ კარებში ჩერდებიან და ფეხებს ითვალიერებენ. „მასწავლებელმა“ ხანმოკლე თათბირის შემდეგ ფეხსაცმელი გაიხადა, იღლიის ქვეშ ამოიჩარა, წამოსასხამი „სტუდენტს“ მისცა და თვითონ ოთახში შემოდის. იმის შალვარს კიდევ „სტუდენტმა“ ბრინკას თვალებს ველარ გაუძლო, „მასწავლებელს“ მოეფარა, ძალდატანებით ჩაახველა, შემდეგ ცხვირზე ხელი მოივლო, დაიხარა და იატაკის გაჭუჭყიანება უნდოდა, მაგრამ დროზე რაღაც მოაგონდა, ისევ გასწორდა, პირზე ხელები მიიფარა, ჩუმად გაიცინა, სიცილი უცებ შესწყვიტა და განუწყვეტლივ ტოკავს. ბევრი ლაპარაკის შემდეგ, მე და ბრინკა ძლივს ვრიგდებით და იმით ვათავებთ, რომ ბრინკას მეორე ოთახში ვახშამი გამოაქვს და იქიდანვე გვიყვირის:

— მოვიდებოდეს!

„სტუდენტი“ სიცილს ველარ იმაგრებს და სავახშმოდ ყველაზე გვიან გადის. მე ბნელ ოთახში ვრჩები და ღია კარებიდან ვხედავ, რომ სამი სტუმრის კბილები გულმოდგინედ და არაჩვეულებრივის ძალით და სიჩქარით მუშაობენ. ბრინკა მოვახშმეთ თავს ადგა და ჩემი სტუმრების მუშაობით დაინტერესებული თავის ტუჩებსა და თვალებიდან სასტიკს და მკვახე გამომეტყველებას თან-და-თან ჰკარგავს და სამაგიეროდ პირსახეზე შებრალების ღიმილი ებადება.

— როგორ მოშივდებდებოდი-ი-ის! — უკვირს ბრინკას და ცოტა ხნის შემდეგ მაროს ეკითხება:—შენ სადღა დაიძინებდის?

პასუხად მარო იღიმება, უკვე გამაძღარი და გამხიარულებული „სტუდენტი“ ხმა მაღლა იცინის და ჩემის ოთახისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყურება. ბრინკას მოღიმარე სახე ხელმეორედ იღუშება და სასტიკად და ჩაციებით მიყურებს. მე იმის მრისხანე თვალებს ვერიდები და სიბნელეში ვიმალები. ხანმოკლე სიჩუმეა.

— არაყი კი, არა, ლუდი არ გინდოდის?! — ყვირის ბარნიკა.

— ტსს-ს-ს, — ამშვიდებს „სტუდენტი“.

ბრინკა არა მშვიდდება და უფრო და უფრო ჯავრობს:

— ბინაც მისცემოდე, პურიც აჭმევდებოდე და არაყიც მოუნდებდებოდის! Вотъ ишо! — რუსულზე უხვევს გაბრაზებული ბრინკა და რუსულითვე ათავებს: — Пошла къ чорта!

აქამდის ჩუმად მჯდომი „მასწავლებელი“ ბრინკას რუსულის გაგონების შემდეგ თავს ველარ იმაგრებს და თავის წვერულვაში დამალულ პირიდინ ისეთ ძლიერ ხარხარს უშვებს, რომ მთელი ოთახი ინძრევა და ფანჯრებს ზანზარი გააქვს. იმის ხარხარს „სტუდენტის“ ხითხითი და მაროს ზარივით წმინდა და უძლური კისკისი უერთდება და გამხიარულებული სტუმრები კმაყოფილების ნიშნად განუწყვეტლივ იცინიან და ველარ მშვიდდებიან. სასაცილოდ აგდებულ ბრინკას ჯერ გაჯავრება უნდა, მაგრამ მერე თვითონაც იღიმება, მხრების ქავილით ჩემ ოთახში შემოდის, მათვალიერებს და როცა მპოულობს, მხიარულისა და ხრინწიანის სიცილით მეკითხება:

— ასეთი დიდი სტუმრები სად იპოვდებოდის?

აქამდის მხოლოდ ვიღიმებოდი, მაგრამ ეხლა იმათ ხარხარს ჩემ სუსტს და უხმო სიცილს ვუერთებ და ყველანი ვიცინით... ვიცინით... ვიცინით..,

— ჰაი, ყმაწვილობა! ყმაწვილობა! — თავის წარსულ ახალგაზდობას ნანობს ბრინკა და თავის ქნევით და ტიტველა მკერდის ფხანით ისევ ჩემ სტუმრებთან გადის. იქ კი განუწყვეტლივ და გაორკეცებულის ძალით იცინიან... იცინიან... იცინიან...

ვცდილობ სიცილი შევიმაგრო, ტუჩებს ვიკვნეტავ, პირზე ხელებს ვიფარებ, მაგრამ ჩემდა უნებურად ვხტი, მთელის ტანით ვინძრევი, ვთრთი და წუთის შემდეგ ხმა მაღლისა და უნებურის სიცილით ჩემ სტუმრებთან შევრბივარ. სიცილისგან აწითლებული მარო ხელებ წინ გამოშვერილი ჩემსკენ მორბის, ხელებს მიჭერს, თავის პირისახეს ჩემ გულზე მალავს და უხმოთ და მთელის ტანით იცინის... იცინის... იცინის... და ცოტა ხნის შემდეგ ჩემ ხელებზე მის თბილ ცრემლებს ვგრძნობ, ვხედავ, რომ იმისი გამხდარი მხრები არაჩვეულებრივად ხტიან, მესმის, რომ იმის უხმო სიცილს ხანგამოშვებით და უფრო ხშირად და ხშირად მისივე ქვითინი არღვევს, ვგრძნობ, რომ იმის გიჟურ სიცილს და ქვითინს ველარც ჩემი დაჭიმული ნერვები გაუძლებენ და... საჩქაროდ ჩემ ოთახში შევრბივარ და კარებს ვიკეტავ.

ერთის საათის შემდეგ მეორე ოთახში ვდგევარ და იქვე მწოლარე მაროს ვუყურებ. სამზარეულოდან „მასწავლებელის“ ძლიერი, ბოხი ხვრინვა და „სტუდენტის“ მრავალ ხმაზე სტვენა ისმის. გარედ წვიმა შხუის, ფანჯრებს ურაკუნებს, გაძლიერებული ქარი ხან მხიარულად და ხან გაჯავრებული დახტის, დასრიალებს, დაზუზუნებს, ფანჯრებს და კარებს აწვება, აკაკუნებს, შემდეგ იქვე იმალება, კვნესის და ბუტბუტებს. ბუხარში ცეცხლი გუგუნებს და იმისი შუქი კედლებზე დახტის, დაცურავს, ხან ძლიერდება, ხან სუსტდება და მაროს იატაკისკენ გადმოშვებულ გამხდარ მკლავს, მძიმედ მღელვარე მკერდს, გაწეწილ თმებს და მოღიმარე და ტკბილ სიზმრებით გატაცებულს, მაგრამ დაღლილ-დატანჯულს და ყვითელი მარმარილოს ფერის სახეს ეალერსება, ეხვევა, თრთის და სთვლემავს. მთელი ოთახი და მასთან მაროც და მეც ხან ვნათდებით და ხან ისევ სიბნელეში ვეხვევით. ცოტა ხნის შემდეგ მეც მაროსავით დაღლილი და დასუსტებული ჩემ ოთახში გავდივარ, საბანსა და ბალიშებ ქვეშ ვძვრები, ქარის ზუზუნს და წვიმის შხუილს კიდევ კარგა ხანს ვუგდებ ყურსა და შემდეგ ვიძინებ.

ჩემ წინ ისევ წელანდებური მოთეთრო ბურუსი მოცურავს. ბურუსიდან რიგ-რიგად ჩემი სტუმრები გამოდიან და წინ მიდიან.

„სტუდენტი“ გაჯავრებულ „მასწავლებელს“ გარშემო ურბენს, იცინის და განუწყვეტლივ იმეორებს:

— Босявка! Босявка! Босявка!

— Отстань, а то! — ურჩევს მასწავლებელი, ისევ იმის დასაჭერად ემზადება და ორივენი ბურუსში ეხვევიან.



წვიმის მოლოდინში — სურათი ვატსონისა.

— Выслушайте меня... ради Бога, пожалуйста, выслушайте. — მეხვეწება მარო და მალე ისიც ბურუსში იკარგება.

— რათ მოიყვანებდებოდე, ჰა? რა გინდოდის, რომ აქ აძინებდებოდე, ჰა?—ყვირის ბრინკა და მეც ვიღვიძებ. ჩემ წინ ნამდვილი ბრინკა სდგას და იმისი გაჯავრებული თვალები განადგურებას მიპირობენ. ბრინკა ჩემსკენ იხრება და ნიშის მოგებით თითებზე რიგ-რიგად მითვლის:

— სამოვარი წაიღებოდეს, ორი ქვაბიც მოიპარიდეს და... ჩაის აღარ დალევდე!—სასჯელს მაძლევს ჩემი ბრინკა და სამზარეულოში გადის. მეც მესმის, რომ „სტუდენტი“ და „მასწავლებელი“ გამოუთხოვრად წასულან და, სხვათა შორის, ბრინკასგან ჩამოთვლილი ნივთებიც წაუღიათ. მეორე ოთახიდან კმაყოფილი და მოღიმარე მარო მიყურებს და მეც ვგრძნობ, რომ ჩემი მესამე და ყველაზე ერთგული სტუმარი თავის დაპირებისამებრ ერთი დღის შენახვისთვის ერთ თვეს, ორ თვეს მემსახურება.

ბრინკას მეზობლისაგან ნათხოვნი სამოვარი შემოაქვს, მაგიდაზე სდგამს, ჩემ ოთახში შემოდის, ჩემდა დაუკითხავად ჩემი შალვრის ჯიბეში რაღაცას ეძებს და ბუტბუტებს:

— სამოვარი უნდა ვიყიდებოდე... ქვაბებიც უნდა მოვიტანებდე...

და რა იმას ვერ პოულობს, რაც უნდოდა, წარბებს იქმუხვნის, კარგა ხანს სასტიკად მიყურებს და თავის უკანასკნელ გადაწყვეტილებას მატყობინებს:

— სადილი აღარ გაჭმევდებოდე! და გადის.

მეორე ოთახიდან მარო მიღიმის, იზმორება და თითს მიქნევს.

მ. ადამაშვილი



ფანჯრიდან.—რა ამბავია, რა ხმაურობაა?

— ისა, რომ ბ-ნ ჰუნდს ფული მოჰჴსვლია და იმის მოვალეებს სიხარულისაგან ფოსტალიონი მხარზე შეუსვამთ და ისე მოჰყავთ.

# წვრილი ამბები

**ახალი გაზეთი.** ინგლისელი პუბლიცისტი, ცნობილი მქადაგებელი მშვიდობიანობისა, უილიამ სტედი აარსებს ლონდონში ახალ გაზეთს თვის იდეების გასავრცელებლად. განცხადებაში სტედი აღნიშნავს ღონისძიებათ, რომლებით განუზრახავს ახალ გაზეთის გავრცელება. სხვათა შორის, გაზეთის დამტარებლებად ახალგაზდა ინტელიგენტი ქალები ეყოლება, რომელთა მოვალეობა იქნება ხელის მომწერთ გაეცნონ, ებაასონ ხოლმე გაზეთში დასტამბულ წერილებისა გამო, სიტყვიერად ავრცელონ მშვიდობიანობის იდეა და ამ რიგად ემსახურონ გაზეთის დანიშნულებას; ახალგაზდა ქალებმა უნდა ჰყიდონ აგრეთვე გაზეთი ქუჩა-ქუჩად. ხელის მომწერთათვის ქალაქის სხვა-დასხვა ნაწილებში გაიმართება იაფ-ფასიანი სასადილოები, სამკითხველოები, ბავშთა დღიური თავშესაფარები და სხვა.

—

**უხუცესი ქალი.** ამას წინად ამერიკაში თავისი დაბადების დღე იდღესასწაულა ქ-მა მაკ-დოლალამ. მას შეუსრულდა 134 წელწადი და, როგორც ჰფიქრობენ, ამაზე უფრო ხნიერი ქალი აღარ უნდა იყოს დედამიწაზე.

—

**სიკვდილით დასჯილთა გაცოცხლება.** ამ დღეებში მანილიას (ფილიპეს კუნძულებზე) შემდეგი ამბავი მომხდარა: სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ოთხ ავაზაკს. ჯალათმა წესისამებრ ჩამოახრჩო ოთხივე. შემდეგ ამათი გვამები, კანონის თანხმად, ეკკლესიაში წაასვენეს, საიდანაც საღამოს მათ მშობელ-ნათესავთ უნდა დაებრუნებიათ. საღამოს მოვიდნენ ჟანდარმები, რომელთაც უნდა გადაეცათ ავაზაკთა გვამები ნათესავებისათვის, გააღეს ეკკლესიის კარები და ყველა გაოცდა: ოთხივე ჩამოხრჩობილი არხეინად ისხდნენ და მასლაათობდნენ. ალბათ, ჯალათს რიგიანათ ვერ ჩამოეხრჩო. ამ ამბავმა ისე მძლავრად იმოქმედა ორს ჟანდარმზე, რომ ორივე ჰკუაზე შესცდა თურმე. ავაზაკნი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს და რამდენიმე დღეში მოარჩინეს, მთავრობამ ოთხივე გაანთავისუფლა სასჯელისაგან, რადგან „განგება წინააღმდეგი ყოფილა მათის დასჯისაო“.

(უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან)



— ეჰ, ქალებო, ქალებო! არ მოიპოვება ქალი, რომელსაც საიდუმლოების დაფარვა შეეძლოს.

— უკაცრავად, ბატონო, თქვენ სცდებით, დარწმუნებული ვარ თქვენს ცოლს არ უთქვამს, რომ საყვარელი ჰყავს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.